

## ელენე ალადაშვილი

### კავკასიის ბიზნესის სკოლა

#### Fairleigh Dickinson University, USA

როდესაც მთხოვეს რომ მოკლედ დამეწერა ამერიკაში გაცვლითი პროგრამით გატარებული ერთი წლის შესახებ, დავიბენი. შესაძლებელია მთელი წლის დაუჯერებელი და უნიკალური გამოცდილების ერთ მოკლე ტექსტში თავმოყრა? მეგობრებთან ერთად ვიყავი, როდესაც ფაირლეი დიკინსონის უნივერსიტეტისგან მივიღე მეილი, რომელშიც მატყობინებდნენ რომ მათ სასწავლებელში ჩავირიცხე. ეს შეგრძნება ნამდვილად აღმაფრთოვანებელი იყო, თუმცა გამგზავრების დღემდე ვერ ვიჯერებდი. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილება დაიწყო მსოფილოს ყველაზე საოცარ ქალაქში, ნიუ-იორკში ჩასვლით.

აქტიური ცხოვრების წესი, უამრავი შესაძლებლობის აღმოჩენა, მთელი მსოფლიოდან არაჩვეულებრივ ადამიანებთან შეხვედრა, სხვადასხვა შტატში მოგზაურობა, ფლორიდიდან დაწყებული კალიფორნიით დასრულებული, FDU-ში სწავლა, სასწავლო პრაქტიკებში მონაწილეობა, სატელევიზიო შოუებზე დასწრება და რეკლამირების ტექნიკის გათავისება, დამოუკიდებლობის შეგრძნების განცდა, ამ ყველაფერმა ძლიერ, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ ადამიანად მაქცია. ეს ყველაფერი და სხვა მრავალი, არასრული სიაა იმ გამოცდილებისა, რამაც შტატებში ცხოვრება დაუვიწყარი გახადა.

გაცვლითი პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისათვის ალბათ უფრო საინტერესო იქნება ის დაბრკოლებები, რომელსაც ამ პერიოდში გადავაწყდი და თუ როგორ შევძელი მათთან გამკლავება. აშშ-ში ჩემი ყოფნის დროს, COVID ვირუსი ახალი აფეთქებული იყო, ამ ყველაფერთან გამკლავება კი ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ კომფორტის ზონიდან გამოსულს, საკუთარი მომავალი საკმაოდ გაურკვეველი მეჩვენებოდა, არ ვიცოდი რა იყო სწორი არჩევანი. მქონდა ორი ვარიანტი, მიმეტოვებინა ჩემი გეგმები აშშ-ში და საქართველოში დავბრუნებულიყავი, ან მიმედო ეს მოცემულობა და უკეთესის იმედი მქონოდა, მე მეორე ვარჩიე. მიუხედავად რთული დღეებისა, რაც ხშირად მარადისობად მეჩვენებოდა, დრო საოცრად მალე გავიდა. აშშ-ში გატარებული თითოეული მომენტი კმაყოფილი ვარ.

აშშ-დან სახლში დაბრუნება აღსაწერად რთულია. ახლა განსხვავებული ადამიანი ვარ იმისგან, ვინც სამშობლოს დატოვებამდე ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთი წლის გარდა მთელი ჩემი ცხოვრება საქართველოში გავატარე, მგონია რომ ჩემი გულის ნაწილი კვლავ იქ დარჩა, ვიცოდი რომ ის, რასაც უკან ვტოვებდი, მხოლოდ ქვეყანა არ არის, ეს ამაზე გაცილებით მეტი იყო. როდესაც თვალს გადავავლებ საოცარ მოგონებებს, ვნატრობ რომ კვლავ მქონდეს ამის გაკეთების საშუალება. და ბოლოს, მაღლობა კავკასიის უნივერსიტეტს, რომ ჩემი სურვილების ახდენაში დამეხმარა. მაღლობა ფაირლეი დიკინსონის უნივერსიტეტს რომ მიმასპინძლა, ეს უპირობოდ გასაოცარი გამოცდილება იყო.